ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 469

9 სექტემბერი
"---"-------- 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. № 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს ,,სანამის" (ს/ნ. 402191150) მიმართ მისამართებზე: 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. 01.13.06.015.005); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. 01.13.06.015.002); 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.014) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს ,,სანამის" (ს/ნ. 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის №22.1378.1505 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს ,,სანამის" (ს/ნ. 402191150) მიმართ, მისამართებზე ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის

გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.005, ფართობი - 588 კვ.მ); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ); 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ №35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.014; ფართობი 2814 კვ.მ) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით: 1, მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.13.06.015.005) - (კ-2) 4.7-დან 6.0-მდე; 2. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.13.06.015.002) -(კ-2) 4.7-დან 6.0-მდე; 3. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.13.06.015.014) - (კ-2) 8.8-დან 9.5-მდე;

ბ) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) შპს ,,სანამი"-მ (ს/ნ. 402191150) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 626 774 (ექვსასუცდაექვსი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი" (ს/ნ. 204460957), შპს ,,მარიჯანი (ს/კ. 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი" (ს/კ. 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები" (ს/კ. 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს" (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი" (ს/კ. 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს (ს/ნ. 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

დ) შპს ,,სანამი"-მ (ს/ნ. 402191150) ამ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

ვ) შპს ,,სანამი“-მ (ს/ნ. 402191150) მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპზე წარმოადგინოს მისამართებზე: ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.13.06.015.005), ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.13.06.015.002), ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ №35/52- არსებულ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.13.06.015.014) მესაკუთრეთა თანხმობები განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებასთან და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე